



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 46 58

20/08/2015

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს 2015 წლის 6 აგვისტოს №45/310 წერილით მომართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ თეიმურ ქოჩიაშვილმა, რომელიც ითხოვს ცვლილების შეტანას „თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 მაისის №46/50 განკარგულების პირველ მუხლში ტექნიკური უზუსტობის გასწორების მიზნით.

საქართველოს კანონის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 2015 წლის 5 მაისის № 45/310 წერილის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 მაისის №46/50 განკარგულების პირველ მუხლში და პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„1. მოხდეს ა(ა)იპ თერჯოლის კომპლექსური სპორტული სკოლის (ს/კ 431948039) შერწყმა თერჯოლის სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუნიციპალურ ცენტრთან (ს/კ 231954588) და ეწოდოს ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი.

2. მოხდეს ა(ა)იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო მუნიციპალური ცენტრის (ს/კ 231949210) შერწყმა ა(ა)იპ კულტურული განვითარების ცენტრთან (ს/კ 231949381) და ეწოდოს ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი.“

მუხლი 2.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. № 7) კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
სოფიო ბუსკივაძე

ს. ზაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო